ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #30

ქ. ქობულეთი **6 აპრილი 2017 წელი**

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-3 მუხლი, 1-ლი პუნქტი, ს[1] ქვეპუნქტი), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' (მე-3 მუხლი) შესაბამისად, ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება'', (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141) დირექტორის ია ხალვაშის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ი/მ ,,რომან რომანაძე'' (პ.ნ 61004018146 ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქ.#138) წარმოდგენილი რომან რომანაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (კოდი 50100000 – სატრანსპორტო მომსახურება) ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება''-ს ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალების ავტო-ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე (შემდგომში „მომსახურება“), რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: 995 (ერთიათასასოთხმოცდაექვსი) ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება''-ს ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალების ავტო-ტექნიკური მომსახურების შესყიდვა (შემდგომში „მომსახურება“) თანახმად თანდართული დანართისა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 995 (ცხრაასოთხმოცდა-თხუთმეტი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად განხორციელებულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მომსახურების მიღება ჩაბარებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი, კერძოდ: ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება''-ს სახელით მნე (მ.ჩხარტიშვილი).
5.3 განხორციელებული მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 მომსახურების განხორციელების ადგილად განისაზღვრება ქალაქ ქობულეთი, რუსთაველის ქ.#138.
6.2 მომსახურების განხორციელების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს განხორციელებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის შესაბამისად მომსახურების განხორციელება.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება"-ს მნე (მ.ჩხარტიშვილი).

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე განხორციელებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა.

12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი _ „შემსყიდველთან".

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

16. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქალაქ ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი #141;
16.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სახაზინო კოდი 04,04,01,
საიდენტიფიკაციო კოდი 446951790;
16.3 „შემსყიდველი" – ა(ა)იპ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება".

17. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „მიმწოდებელი"–ს ფაქტიური მისამართი: ქალაქ ქობულეთი, რუსთაველის ქ.#138;
17.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ა GE38LB0112133056580000
საიდენტიფიკაციო კოდი 61004018146.
17.3 „მიმწოდებელი"– ი/მ ,, რომან რომანაძე"

„შემსყიდველი" – ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება"

დირექტორი **ია ხალვაში**

„მიმწოდებელი" –

ი/მ ,,რომან რომანაძე" **რომან რომანაძე**

დანართი
კოდი 50100000

#	საქონლის დასახელება	განზ–ბა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში)	თანხა (ლარში)
1.	ძრავი	ცალი	1	850	850
2.	ძრავის ზეთი	ლიტ	15	4	60
3.	ზეთის ფილტრი	ცალი	1	15	15
4.	სანთელი	ცალი	4	5	20
	ჯამი:				945
	მომსახურება				50
	სულ ჯამი:				995

მიმწოდებელი ი/მ ,, რომან რომანაძე" რ.რომანაძე